რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში დაგმეს კიევ-პეჩერის ლავრაში ძალოვნების ქმედებები

ეკლესიის საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის სინოდალური განყოფილების თავმჯდომარემ ვ.რ. ლეგოიდამ კომენტარი გააკეთა მიძინების კიევ-პეჩერის ლავრაში მომხდარ მოვლენებზე. მის სიტყვებს Патриархия.ru-ს ვებგვერდი **ავრცელებს.**

მანამდე ცნობილი გახდა, რომ „კიევ-პეჩერის ლავრის“ ეროვნული ნაკრძალის წარმომადგენლებმა პოლიციის დახმარებით შეამტვრიეს მონასტრის 70-ე კორპუსის კარი, რომელიც კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარეს მიტროპოლიტის ონოფრეს რეზიდენციას წარმოადგენს, და შიგნით შეიჭრნენ. გარდა ამისა, საკეტები შეცვალეს ლავრის 69-ე და 71-ე კორპუსებში, რის შემდეგაც ისინი დალუქეს. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ძალის გამოყენება დაიწყეს, ასევე, სავანის დასაცავად მისული მორწმუნეების მიმართაც.

„დღეს დილიდან კიევის რეჟიმმა უკრაინის კულტურის სამინისტროს სახით, პოლიციისძალის

დახმარებით დაიწყო კიევ-პეჩერის ლავრის რიგი კორპუსების მიტაცება“, – განცხადა ეკლესიის საზოგადოებასა და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების მეთაურმა.

„გამოგონილი საბაბით შეიარაღებული პირები შეიჭრნენ მონასტრის ტერიტორიაზე, დაიწყეს კარების მსხვრევა და ძალის გამოყენება მორწმუნეების მიმართ, რომლებიც მშვიდობიანად გამოვიდნენ თვითნებური ქმედებების წინააღმდეგ“, – დასძინა ვ.რ. ლეგოიდამ.

მისი სიტყვებით, სანამ ლავრაში ეს აღმაშფოთებელი უკანონობა გრძელდება, ყველა უფლებადამცველი დუმს, თითქოს არაფერი ხდებოდეს.

„თუმცა, გასაკვირი არაფერია. როგორც ჩანს, უკრაინის ხელისუფლებას აქვს კარტ-ბლანში საკუთარი მოქალაქეების მიმართ ნებისმიერი ძალადობისთვის“, – დაასკვნა ეკლესიის წარმომადგენელმა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90506/